



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 292

ქალაქი ქუთაისი

5

აგვისტო

2016 წელი

„თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფერტუნა მედიას“ შორის 2010 წლის 25 მაისს დადებული № 551 აღნაგობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორებისა და მუნიციპალიტეტის ქონების ტოლფასი ქონების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ფიზიკური ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრებაში გადაცემის დამატებითი წესებისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების, სახელმწიფო შესყიდვის 2016 წლის 11 თებერვლის №57 ხელშეკრულებით გამარჯვებული შპს „კომპაუდის“ 2016 წლის 22 მარტის №340 დასკვნის, შპს „ფერტუნა მედიას“ დირექტორის წარმომადგენლის, გალ ვაგნერის 2016 წლის 31 მაისის №12693/01 მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, შოთა მურღულიას მოახდინოს შპს „ფერტუნა მედიასათვის“, საზოგადოებრივი/სამგზავრო ავტობუსების გაჩერებების მოსაწყობად, 2010 წლის 25 მაისის №551 აღნაგობის ხელშეკრულების დანართი №1-ით გადაცემული ტროტუარის ნაწილების ფართობის ცვლილება (გაზრდა ან შემცირება), შპს „ფერტუნა მედიას“ მოთხოვნის შესაბამისად.

მუხლი 2. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, შოთა მურღულიას, წინამდებარე განკარგულების პირველ მუხლში განსაზღვრული ცვლილებების გათვალისწინებით, განსაზღვროს წლიური საიჯარო ქირის ოდენობა, სახელმწიფო შესყიდვის 2016 წლის 11 თებერვლის №57 ხელშეკრულებით გამარჯვებული შპს „კომპაუდის“ 2016 წლის 22 მარტის №340 დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 3. ცნობად იქნეს მიღებული, რომ შპს „ფერტუნა მედია“ უფლებამოსილია მის მიერ დასმული მოთხოვნის შესაბამისად, მისთვის გადაცემული ტროტუარის ნაწილებზე მოსაწყობ საზოგადოებრივი/სამგზავრო ავტობუსების გაჩერებებზე განათავსოს კომპანია „სმარტის“ საკონდიტროებთან ერთად ან მათ ნაცვლად, ევროპული წარმოების საკონდიტრო აპარატები ან ყავის აპარატები ან/და ბანკომატები, რომლის ფართობი არ უნდა აღემატებოდეს მოსაწყობი საზოგადოებრივი/სამგზავრო ავტობუსების გაჩერების მთლიანი ფართობის 1/3-ს, ყოველ კონკრეტულ ადგილზე.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, შოთა მურღულიამ უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულებით განსაზღვრული ცვლილებების გათვალისწინებით, 2010 წლის 25 მაისის №551 აღნაგობის ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

მუხლი 5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი